

1. ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა: “ბიოფიზიკა”

მოდულების / ქვემოდულების სახელწოდება: “ბიოფიზიკა”, “გამოყენებითი ბიოფიზიკა”, “სამედიცინო ბიოფიზიკა”

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბიოფიზიკის მაგისტრი

3. პროგრამის ხელმძღვანელი: თამაზ მძინარაშვილი, ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი, ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, 0128 თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №3, ტელ: (+995 32) 29 08 34, e.mail :mdz@tsu.ge, mdzinarashvili@yahoo.com

თბილისი, გ. ჭყონდიდელის ქ. №

ტელეფონი: (+995 32) 99 08 52 (ბინა),

თანახელმძღვანელი: დავით გამრეკელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, 0128, თბილისი. ტელ.: (+995 32) 303940.

პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის გაღრმავებას. კერძოდ, უნდა მოხდეს სტუდენტის მიერ ცოდნის გაფართოვება ბიოფიზიკის ყველა მიმართულებით, რათა მოხდეს სტუდენტის (მაგისტრანტის ხელმძღვანელთან ერთად) ჩამოყალიბება, როგორც მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტისა. მაგისტრატურაში სწავლებისას სტუდენტი მიიღებს როგორც ზოგად განათლებას ბიოფიზიკურ დისციპლინებში, ასევე მისი დამთავრების შემდეგ გამოვა მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი ვიწრო განხრითაც. გარდა ტრადიციული ბიოფიზიკური საგნებისა, მაგისტრატურაში სწავლის აქცენტი გადატანილია ბიოფიზიკური თვალთახედვით დანახულ ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა ბიოტექნოლოგია, ფაგოთერაპია, მიკრობების სტრუქტურა და თვისებები, ეკოლოგია, რომელ მიმართულებებშიც საქართველოს გააჩნია დიდი მიღწევები და ჰყავს ინტელექტუალური პოტენციალის მქონე აქტიურად მოღვაწე მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ მაღალპროფესიონალურ დონეზე წარმართონ სტუდენტების მომზადება ამ განხრით. შედეგი იქნება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების შენარჩუნება, გაფართოება.

მაგისტრატურის სტუდენტები გაივლიან ლექციების კურსს, რომელიც მოიცავს როგორც აუცილებელ, ძირითად სალექციო დისციპლინებს, ასევე მათ მიერ არჩეული მოდულების მიხედვით გამოყოფილ არჩევით სახის ლექციებს.

შედეგი: სტუდენტი, რომელიც გაივლის მაგისტრატურის კურსს და დაიცავს სამაგისტრო ნაშრომს იქნება მზად იმისათვის, რომ:

- წარმართოს როგორც სასწავლო ასევე სამეცნიერო საქმიანობა.
- ჩაუტაროს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები როგორც ბაკალავრიატ ასევე მაგისტრანტ სტუდენტებს.
- ექნება სამეცნიერო მუშაობის საკმაო გამოცდილება, რათა მან შეძლოს სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება.

- უნდა ფლობდეს უცხო ენას სკმაოდ კარგ დონეზე (სასურველია ინგლისური), რათა შეეძლოს როგორც ლიტერატურაში არსებული უცხოენოვანი სტატიების წაკითხვის/ანალიზის უნარი ასევე შეეძლოს თავისუფლად აწარმოოს მიმოწერა თავისი კოლეგებთან და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან.
- შექმნილი ექნება უნარჩვევები, რითაც შეეძლება დასვას კვლევის ამოცანა, მოიპოვოს და გაანალიზოს ლიტერატურაში არსებული მონაცემები, განსაზღვროს დასახული ამოცანის რეალიზაციის გზები.

დასაქმების სფეროები:

კვების მრეწველობის, სამედიცინო დაწესებულებების და ფარმაცოლოგიის მიმართულებებით და სხვა. ასეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სამეცნიერო კვლევის წარმართვას შესძლებენ შესაბამისი სპეციალობის ინსტიტუტებში, როგორცაა ფიზიკის ინსტიტუტი; მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტი; სამედიცინო ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტი; მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგების და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი და სხვა.

გარდა ამისა მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საზღვარგარეთის უნივერსიტეტში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეებსაც, რომლებსაც შეუძლიათ რეკომენდაცია გაუწიონ ჩვენ კურსდამთავრებულ მაგისტრანტებს, რათა მათ ცოდნის დონის გაღრმავების მიზნით განახორციელონ სამეცნიერო მუშაობა უცხოეთის ცნობილ ლაბორატორიებში.

პირითადი საგნები

1. მოლეკულური ბიოფიზიკა (ლაბორატორიით)
მძინარაშვილი თ., ასოც. პროფესორი, ფიზ.მათ.მეც. დოქტორი
ბარბაქაძე შ., ასისტენტ პროფესორი, ფიზ.მათ.მეც. კანდიდატი
2. ფიზიკური მეთოდები ბიოლოგიაში (პრაქტიკუმით)
მძინარაშვილი თ., ასოც. პროფესორი, ფიზ.მათ.მეც. დოქტორი
ბარბაქაძე შ., ასისტენტ პროფესორი, ფიზ.მათ.მეც. კანდიდატი
3. ბიოქიმია (ლაბორატორიით)
შენგელია ნ., ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
4. მოლეკულური ბიოლოგია
ზაალიშვილი თ, განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეც. დოქტორი, საქ. მეც. აკადემიის წევრ კორესპონდენტი.
5. ბიოტექნოლოგია
შენგელია ნ., ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
6. უჯრედის ბიოფიზიკა
ხვედელიძე მ., უფროსი მეც. თამნამშრომელი, ბიოლოგიურ მეც. კანდიდატი
(სპეციალობა ბიოფიზიკა)

არჩევითი საგნები

1. ფუნქციური გენომიკა
სურგულაძე ნ., საქართველოს მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიურ მეც. კანდიდატი ან
შენგელია ნ., ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
2. უჯრედის მოლეკულური ბიოლოგია (პრაქტიკუმით)
საპოუნიკოვა ნ., უფროსი მეც. თამნამშრომელი, ბიოლოგიურ მეც. კანდიდატი
ასათიანი ნ., უფროსი მეც. თამნამშრომელი, ბიოლოგიურ მეც. კანდიდატი
3. სამედიცინო დიაგნოსტიკის ფიზიკური ასპექტები

- ხვედელიძე მ., უფროსი მეც. თამნამშრომელი, ბიოლოგიურ მეც. კანდიდატი
(სპეციალობა ბიოფიზიკა)
4. ბიოსისტემების სპექტროსკოპია და ფოტობიოლოგია
ჩიკვაძე ე., ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
 5. მოლეკულათაშორისი ურთიერთქმედება ბიოლოგიაში
ბრეგაძე ვ., წამყვანი მეც. მუშაკი, ფიზ.მათ.მეც. დოქტორი
 6. სტრუქტურული ბიოინფორმატიკა
ფირცხალავა მ., განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეც. დოქტორი
 7. ბიომოლეკულური პროცესების ფიზიკა
ხოშტარია დ., ლაბორატორიეს გამგე (თსუ), განყოფილების გამგე (მზბ ინსტიტუტი), ქიმიის მეც. დოქტორი
 8. მიკრობიოლოგია (პრაქტიკუმით)
გაბისონია ტ., ლაბორატორიის გამგე (ბმვი), ბიოლოგიის მეც. დოქტორი
 9. ფაგის ბიოლოგია და ფაგოთერაპია
ალავიძე ზ., ბიოლოგიის მეც. კანდიდატი
 10. ვირუსების ბიოფიზიკა
მძინარაშვილი, ასოც. პროფესორი, ფიზ.მათ.მეცნიერებათა დოქტორი
 11. ბიოლოგიური პროცესების წონასწორული და არაწონასწორული თერმოდინამიკა
ჩიკვაძე ე., ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
 12. ეკოლოგია.
შენგელია ნ., ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
 13. რადიობიოლოგია
მაია ჭოჭუა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.
 14. ბიოენერგეტიკა
დავით გამრეკელი, ასოც. პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
 15. საზღვარგარეთის უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორის ლექციათა კურსი